



სახელმწიფო
აუდიტის
სამსახური

საბარემო
საპრედიტო
რესურსის ხარჯზე
გაცემული სასხებოს
მართვის ეფექტიანობის
აუდიტი

2016

საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის ეფექტიანობის აუდიტი



თბილისი
2016

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა -----	6
1. შესავალი -----	9
1.1. აუდიტის მოტივაცია -----	9
1.2. აუდიტის მიზანი და კითხვები -----	10
1.3. აუდიტის მასშტაბი და ობიექტი -----	9
1.4. აუდიტის მიდგომა და მეთოდოლოგია -----	10
1.5. აუდიტის კრიტერიუმები -----	11
1.6. ზოგადი ინფორმაცია -----	11
2. მსესხებელთა შერჩევის პროცესში არსებული ხარვეზები -----	17
3. საკრედიტო პორტფელის მონიტორინგი და სესხების დაფარვა -----	22
4. გადასესხებული სესხების აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არსებული ხარვეზები-----	24

შემაჯამებელი მიმოხილვა

საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფინანსურ აქტივს, რომლის მოცულობაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე იზრდებოდა და 2014 წლის მონაცემებით 1.2 მილიარდ ლარს გადააჭარბა. აღნიშნული სესხების გაცემის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო თუ კერძო კომპანიების შეღავათიანი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა, რომელიც მიმართული იქნება პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე. საგარეო წყაროდან მოზიდული შეღავათიანი სახსრების გადასესხების მეშვეობით მცირდება საგარეო ვალის მომსახურების წნეხი სახელმწიფო ბიუჯეტზე. კერძოდ, სახელმწიფოს ვალდებულება მოემსახუროს დონორთან გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებას, კომპენსირდება გადასესხებული სახსრებიდან საპროცენტო თუ ძირითადი თანხის სახით მიღებული საბიუჯეტო შემოსულობებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები: საგარეო საკრედიტო რესურსის საბოლოო ბენეფიციარის (მსესხებელი) შერჩევის პროცესი, მსესხებელთა გადახდისუნარიანობისა და საკრედიტო რისკების შეფასება, გაცემული სესხების მონიტორინგისა და გადასესხებული სესხებთან დაკავშირებული აღრიცხვა-ანგარიშების საკითხები. აუდიტის შედეგად გამოვლინდა საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების (გადასესხებული სესხები) მართვაში არსებული რიგი ნაკლოვანებები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ აქვს შემუშავებული გადასესხების პოლიტიკა, სადაც მსესხებელთა შერჩევის ზოგად კრიტერიუმებთან ერთად მოცემული იქნებოდა, აგრეთვე, გადასესხების პროცესში ჩართული უწყებების ფუნქცია-მოვალეობები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ აქვს შემუშავებული რისკების შეფასების მეთოდოლოგია და ქვესასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური პირობების დადგენისას არ ხდება საკრედიტო რისკების შეფასება. ამასთანავე, ფინანსური სირთულეების მქონე მსესხებელთათვის მიმდინარე გადასახდელის გადავადებისა თუ ახალი ფინანსური რესურსის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ ხორციელდება შესაბამისი, დადოკუმენტირებული, ფინანსური ანალიზის შედეგად. მნიშვნელოვანია, რომ იმ მსესხებელთა შემთხვევაში, რომლებსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები და ამავდროულად, წარმოადგენენ პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტის უალტერნატივო განმახორციელებლებს, განხილულ იქნეს საგარეო წყაროებიდან მოზიდული სახსრების გრანტის ან სხვა შესაბამისი ფორმით გადაცემის შესაძლებლობები. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს გადასესხებული სესხებიდან მისაღები სახსრების ბიუჯეტში გეგმის მიხედვით მობილიზებას.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით მსესხებელთა მიერ წარდგენილი კვარტალური ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას სესხის დაბრუნებადობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნა მსესხებელთა მხრიდან ნაწილობრივ სრულდება. ფინანსთა სამინისტროს არ აქვს ინფორმაცია მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის

შესახებ, რაც ზრდის რისკს იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ ვერ მოხდება მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კუთხით სირთულეების დროული აღმოჩენა და მათ დასაძლევად შესაბამისი ეფექტური ზომების მიღება.

ფინანსთა სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხების აღრიცხვის ერთიანი, უნიფიცირებული მიდგომა. შედეგად, სახელმწიფო სესხების ერთიანი რეესტრის მონაცემები და DMFAS-იდან მიღებული ამონაწერი პორტფელის მდგომარეობის შესახებ არ არის შესადარისი და რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს განსხვავებული ინფორმაციის ასახვას. გამომდინარე იქიდან, რომ საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხები არ ექვემდებარება სესხების ერთიან რეესტრში აღრიცხვას, მნიშვნელოვანია მათი სრულყოფილად აღრიცხვა DMFAS-ში.

საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით და მოცემული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს გადასესხების პოლიტიკა, სადაც ნათლად იქნება გაწერილი მსესხებელთა შერჩევის ზოგადი კრიტერიუმები, პროცესში მონაწილე უწყებების ფუნქცია-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ხელს შეუწყობს მოცემული მიმართულების საბიუჯეტო სახსრების სწორ დაგეგმვასა და საგარეო წყაროებიდან მოზიდული სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების ეფექტიან მართვას;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მეთოდოლოგია, განახორციელოს რისკების შეფასება და მოცემული შეფასების ანალიზის შედეგად განსაზღვროს დაფინანსების ფორმა (სესხი, გრანტი, გარანტია და სხვა) და პირობები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაფინანსებასთან დაკავშირებული ყველა რისკი;
- საგარეო საკრედიტო რესურსებით მოსარგებლე ეკონომიკური აგენტებისაგან კვარტალური ანგარიშების ფარგლებში გამოთხოვილ იქნეს მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი უწყების მიერ გაანალიზდება და პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში ეცნობება მენეჯმენტს შესაბამისი ზომების გატარების მიზნით.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მონაცემთა ბაზის განახლება და სრულყოფა.გამომდინარე იქიდან, რომ სესხების ერთიანი რეესტრი გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება (მაგ., შეუძლებელია სესხის ნაშთის დადგენა) და იმის გათვალისწინებით, რომ DMFAS-ში სესხების აღწერა უკეთ აკმაყოფილებს აღრიცხვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მიზანშეწონილია სესხების ერთიან რეესტრში საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების აღწერის შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს DMFAS-ში გენერირებული მონაცემები შესაბამისი ფორმატით;
- სესხების რეორგანიზაციის შემთხვევაში განხორციელდეს მისი აღრიცხვა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კერძოდ, რეორგანიზებული სესხის ნაწილი დარეგისტრირდეს, როგორც ახალი სესხი.

1. შესავალი

თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და რეაბილიტაციაში განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ცნობილია, რომ ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გაცილებით მეტ უცხოურ კაპიტალს მოიზიდავენ და ხელს უწყობენ ადგილობრივი წარმოებისა და ბიზნესის განვითარებას. აფრიკის განვითარების ბანკის (AfDB) კვლევის მიხედვით, მსგავსი ქვეყნების მოქალაქეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უკეთესი ჯანდაცვითა და სხვა საყოფაცხოვრებო სერვისებით. გამომდინარე იქიდან, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დიდი ოდენობის ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, ქვეყნის მთავრობები ხშირად ეძებენ თანადამფინანსებელს, როგორც კერძო სექტორში, აგრეთვე საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე მრავალმხრივი თუ ორმხრივი კრედიტორების სახით.

საკრედიტო რესურსების მეშვეობით მრავალი სახელმწიფოს მიერ ხორციელდება სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობების დაფინანსება, მათ შორის პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების. ცნობილია, რომ სახელმწიფოს შუამავლობით კერძო თუ სახელმწიფო საწარმოების მიერ შესაძლებელი ხდება კომერციულ პირობებთან შედარებით ხელსაყრელი და შეღავათიანი პირობებით საკრედიტო რესურსების მოზიდვა. შედეგად, სხვადასხვა პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზნით მრავალი ქვეყნის მიერ აპრობირებულია სახელმწიფოს მიერ მოზიდული საკრედიტო რესურსების ეკონომიკურ აგენტებზე გადასცემა. გონივრული ფინანსური მმართველობის პირობებში გადასცემებული სესხებით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს.

1.1. აუდიტის მოტივაცია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, არსებული მანდატითა და საერთაშორისო აუდიტორულ სტანდარტებზე დაყრდნობით, უფლებამოსილია ჩაატაროს სახელმწიფოს მიერ საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვის ეფექტიანობის აუდიტი, აღნიშნული საკითხის აუდიტისფარგლებშიშესწავლასახელმწიფოაუდიტისსამსახურისმიერდღემდეარგანხორციელებულა. დამატებით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2013 წელს, მსოფლიო ბანკის მისიის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების (DeMPA) ფარგლებში, საგარეო საკრედიტო რესურსებიდან სესხების გაცემასთან და მართვასთან დაკავშირებული აქტივობები¹ ყველაზე დაბალი D ქულით შეფასდა.

2014 წლის მონაცემებით საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მოცულობამ 1,210.91 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგარეო ვალის 15.5%-ია. ამასთანავე, გადასცემებული სესხების პორტფელში 9 სესხია „რესტრუქტურირებული“² (რეორგანიზებული), ხოლო 7 სესხი,

¹ DPI-10 (2) - „გადასცემის ინდიკატორი: პოლიტიკისა და პროცედურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა“

² აღნიშნულ ტერმინი აერთიანებს საქართველოს კანონით „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ განსაზღვრული წესებით განხორციელებული სესხის რესტრუქტურირებასა და ფინანსთა სამინისტროს მიერ მსესხებლის მხრიდან სესხის მომსახურებასთან შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე ჯარიმების დარიცხვის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს (გადასახდელი თანხების დამატებითი სესხის სახით აკუმულირება, გადახდების გადავადება, რეფინანსირება და სხვა).

არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც „უიმედო“ სესხი.

1.2. აუდიტის მიზანი და კითხვები

აუდიტის მიზანს წარმოადგენს საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის ეფექტიანობის შეფასება არსებული პოლიტიკებისა და პროცესების გაანალიზებით. ამ მიმართულებით აუდიტის ჯგუფმა გასცა პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. როგორ და ვის მიერ ხორციელდება მსესხებელთა შერჩევა და ხორციელდება თუ არა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება მათი შერჩევის პროცესში?
2. რა კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება გადასესხების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და რა განაპირობებს შესაბამისი საკრედიტო პირობების ჩამოყალიბებას?
3. როგორ ახდენს მთავრობა გადასესხებული სესხების დაფარვის მონიტორინგს?
4. რამდენადაა უზრუნველყოფილი გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა ანგარიშგებისას?

1.3. აუდიტის მასშტაბი და ობიექტი

აუდიტის მასშტაბი მოიცავს სახელმწიფოს მიერ 2010-2015 წლებში განხორციელებულ გადასესხების პროცედურებსა და გადასესხებული სესხების მართვის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს/აქტივობებს. აუდიტის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

1.4. აუდიტის მიდგომა და მეთოდოლოგია

აუდიტის პროცესში გამოყენებულია პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა. აუდიტის პროცესში ინფორმაციის შეგროვების შემდეგი ძირითადი მეთოდები იქნა გამოყენებული: გადასესხებასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაანალიზება და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა მოიძია და შეარჩია შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის სახელმძღვანელოები არსებული სიტუაციის საუკეთესო პრაქტიკასთან შესადარისობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, აუდიტის ჯგუფი შეხვდა საქართველოში მოქმედ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების³ წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების ფინანსური რესურსის გამოყოფაში, რომელიც ფინანსთა სამინისტროს მიერ გადასესხდება პროექტის განმახორციელებლებზე.

³ აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW).

1.5. აუდიტის კრიტერიუმები

- გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ შემუშავებული პრინციპები;
- ვალისმართვის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, მსოფლიო ბანკი;
- ფისკალური გამჭვირვალობის კარგი პრაქტიკების კოდექსი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
- სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
- ადგილობრივი კანონები და რეგულაციები;
- საერთაშორისო უკეთესი პრაქტიკის მაგალითები.

1.6. ზოგადი ინფორმაცია

სახელმწიფოს მიერ სესხის გაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს პროექტის განმახორციელებლების საჭირო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. საქართველოს სახელმწიფო კრედიტორის როლში გვევლინება მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკური აგენტებისათვის და არ ახორციელებს სხვა ქვეყნების მთავრობებისა თუ საწარმოების დაკრედიტებას. მთავრობის მიერ სესხის გაცემის წყაროს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრები ან/და საგარეო საკრედიტო ბაზარზე მოზიდული ფინანსური რესურსები. შიდა საბიუჯეტო რესურსიდან და საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხები ერთობლიობაში ქმნიან სახელმწიფო სესხების პორტფელს.

საქართველოში საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე სესხის გაცემასთან (გადასესხება) დაკავშირებული აქტივობები რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით: საქართველოს კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“, ყოველწლიური ბიუჯეტის შესახებ კანონით, ფინანსთა სამინისტროს დებულებით, საქართველოს კანონით „საგადასახადო დავალიანების და სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ და უშუალოდ დონორთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, სადაც ხშირ შემთხვევაში დეტალურადაა გაწერილი გადასესხების პირობები.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია გადასესხოს საგარეო წყაროდან მიღებული ფულადი რესურსები და ასევე, პასუხისმგებელია მათ მართვაზე. არსებული მდგომარეობით, გადასესხდება მხოლოდ დონორთა მიერ სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები. გარკვეულ შემთხვევებში, გადასესხება წარმოადგენს დონორი ორგანიზაციის მოთხოვნას, თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. საწყის ეტაპზე, შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს პროექტის აღწერილობასა და ინფორმაციას საჭირო დაფინანსების შესახებ. ფინანსთა სამინისტრო, თავის მხრივ, მთავრობის თანხმობის⁴ საფუძველზე და ეროვნულ ბანკთან კონსულტაციების შედეგად ახორციელებს საინვესტიციო

⁴ 2013 წლის ოქტომბრის თვეში განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებამდე საჭირო იყო პრეზიდენტის თანხმობა.


პროექტის განხორციელებისათვის დონორი ორგანიზაციებისაგან საკრედიტო რესურსის მოძიებას. დონორ ორგანიზაციასთან კონტრაქტის გაფორმებისა და თანხის ჩამორიცხვის შემდგომ საქართველოს მთავრობას კრედიტორისადმი წარმოეჩმნება ვალდებულება (იზრდება სახელმწიფო ვალი), ხოლო მოცემული სახსრების პროექტის განმახორციელებელ ინსტიტუტზე გადასესხების შედეგად გაცემული სესხის სახით იქმნება ფინანსური აქტივი. გადასესხების ფინანსური და სხვა პირობები გაწერილია დონორთან გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში (ძირითადი ხელშეკრულება).



დიაგრამა 1: გადასესხების პროცესი

⁵ ფინანსთა სამინისტროსა და მსესხებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც საფუძველად უდევს, დონორსა და მთავრობას შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულება.

ფინანსთა სამინისტროში, სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი, წარმოდგენილი სახელმწიფო ვალისა და საერთაშორისო საინვესტიციო პროექტებისა და ევროინტეგრაციის სამმართველოებით, მონაწილეობს კრედიტის აღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკების პროცესში, ამზადებს ქვესასესხო ხელშეკრულებას და ასევე, ახორციელებს მონიტორინგს სესხის სრულად დაფარვამდე. ფინანსური რესურსის გადასესხება კი ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ.



დიაგრამა 2: გადასესხებული სესხების მართვაში ჩართული ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები.

რაც შეეხება, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების აღრიცხვასა და ანგარიშგებას, ფინანსთა სამინისტროს დებულების მიხედვით, სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი პასუხისმგებელია საგარეო ფინანსური რესურსებიდან გაცემული სესხების აღრიცხვა/ანგარიშგებაზე. არსებული მდგომარეობით გადასესხებული სესხების ელექტრონული აღრიცხვა ხორციელდება ვალის მართვისა და ფინანსური ანალიზის ელექტრონულ სისტემაში (DMFAS). გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სახელმწიფო სესხების და სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტის დებულების თანახმად, ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა და საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების ერთიანი რეესტრის წარმოება.

“სახელმწიფო ვალის შესახებ” კანონი განსაზღვრავს პროცედურებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მიღებული სესხის გადახდა წილებად საინვესტიციო პროექტებისათვის იმპორტის დასაფინანსებლად. კერძოდ, იმპორტის/საინვესტიციო პროექტის დაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს ფინანსური შუამავლის ან/და პირდაპირ ფინანსთა სამინისტროს მიერ. სესხის მისაღებად ეკონომიკური აგენტები წარადგენენ შემდეგ ინფორმაციას: საინვესტიციო პროექტის აღწერილობას, ბიზნეს გეგმასა და ეკონომიკური აგენტის ფინანსური მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტებს.

იმის გათვალისწინებით, რომ გადასესხებული სესხების მოცულობა მზარდი ხასიათისაა, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი რისკების შეფასებასა და მართვას. ძირითადი რისკი, რომელიც დაკავშირებულია საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე სესხის გაცემასთან არის საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიღებულ სავარაუდო ზარალთან. კერძოდ, თუ მსესხებელი ვერ შეასრულებს ქვესასესხო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტზე, რაც გამოხატული იქნება იმ შემოსავლების შემცირებით, რომლითაც უნდა დაკომპენსირებულიყო სახელმწიფოს მიერ საგარეო კრედიტორისათვის გადახდილი სესხის მომსახურების ხარჯები.

გარდა საკრედიტო რისკისა, გადასესხების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სავალუტო რისკს. კერძოდ, აღნიშნული რისკის გათვალისწინება მაშინაა რელევანტური თუკი საგარეო წყაროდან უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრების გადასესხება ხორციელდება განსხვავებულ ვალუტაში, მაგალითად, ეროვნულ ვალუტაში. ასეთ შემთხვევაში, თუ რისკები შესაბამისად არ იქნება გათვალისწინებული და ასახული სესხის პირობების დაფიქსირებისას ქვესასესხო ხელშეკრულებაში, არსებობს რისკი იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა იზარალოს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის შედეგად. საქართველოში, გადასესხების შემთხვევაში სავალუტო რისკები ძირითადად დაზღვეულია და მისი გაწევა უწევს მსესხებელს, ვინაიდან ქვესასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს გადასახდელი თანხების გაანგარიშებას კრედიტის ვალუტაში, ხოლო გადახდას - ლარში, გადახდის დღეს ლარსა და სესხის ვალუტას შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.


გადასესხებული სახსრების მართვაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო⁶. გადასესხებული ფულადი რესურსების გამოყენება ხდება საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, ხოლო ბენეფიციარებს ძირითადად წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ან/და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები. სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის (მუხლი 10) მიხედვით, სესხის მიმღები ვალდებულია ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს კვარტალური ანგარიში მიღებული სახსრების ხარჯვისა და სესხის დაბრუნების შესახებ.

საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში, განსხვავებით შიდა საბიუჯეტო რესურსიდან სესხის გაცემისა, აქტიურად გამოიყენება საგარეო საკრედიტო წყაროებიდან მოზიდული სახსრების გადასესხების მექანიზმი. საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების პორტფელში 2014 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით აღირიცხება 51 სესხი, საიდანაც 7 მათგანი ვადაგადაცილებული

⁶ სახელმწიფო ვალის შესახებ კანონი, მუხლი 31.

სესხია. პორტფელის მთლიანი მოცულობა 1,210.91 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის, ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის ოდენობა 37.04 მლნ ლარია, რაც მთლიან პორტფელის 3.1%-ს შეადგენს. გადასესხებული სესხების წილი მთლიანი საგარეო ვალის პორტფელში კი 15.5%-ს შეადგენს. ძირითად შემთხვევაში, სესხები გაცემულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებსა (86%) და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე (13%). კერძო სექტორზე გადასესხებულია საგარეო საკრედიტო რესურსის მხოლოდ მცირე ნაწილი (0.8%).

გადასესხებული სესხების პორტფელის შემადგენლობა




დიაგრამა 3: 2014 წლის მდგომარეობით გადასესხებული სესხების პორტფელი მსესხებელთა მიხედვით.⁷

საგარეო საკრედიტო რესურსის გადანაწილება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტის მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე. ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორები განსაზღვრულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD). აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხები მიმართული იყო პრიორიტეტული სფეროების განვითარებისაკენ. 2014 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხების ნაშთი მთლიანი პორტფელის 65%-ს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტებს (33%).

⁷ არ მოიცავს უმოქმედო სესხებს

სესხის პორტფელი დაფინანსებული პროექტების მიხედვით



დიაგრამა 4: გადასესხების გზით დაფინანსებული პროექტების სექტორული განაწილება.

2. მსესხებელთა შერჩევის პროცესში არსებული ხარვეზები

მსოფლიო ბანკის „ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების სახელმძღვანელოს“ მიხედვით გადასესხებული სესხების მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია არსებობდეს შესაბამისი გადასესხების პოლიტიკა და პროცედურების აღმწერი დოკუმენტი. ეფექტური გადასესხების პოლიტიკა (on-lending policy) უნდა ითვალისწინებდეს დასაფინანსებელი პროექტებისა თუ პროგრამების დეტალურ შესწავლას და იმ პროექტების დაფინანსებაზე უარის თქმას, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ შეფასების კრიტერიუმებს. ფინანსთა სამინისტრომ შესაბამის დარგობრივ სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა შეაფასოს დასაფინანსებელი პროექტის სამომავლო პერსპექტივები, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა პროექტის ფინანსურ სარგებლიანობას. კერძოდ, აქვს თუ არა მოცემულ პროექტს შესაძლებლობა დაფაროს მის დაფინანსებაზე გაწეული სასესხო ხარჯები. პროექტების დაფინანსების პროცესში მიზანშეწონილია, აგრეთვე განხილულ იქნეს სახელმწიფო გარანტიის გაცემის ალტერნატივაც შესაბამისი რისკებისა და ხარჯების ანალიზის გათვალისწინებით.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე საინვესტიციო პროექტების დაფინანსების 2 შესაძლებლობას : საფინანსო დაწესებულებების მეშვეობით და უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს მიერ. ორივე შემთხვევაში ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს გამსესხებელის მიერ სესხის მიმღების ფინანსური მდგომარეობის შესწავლა. კერძოდ, უნდა გაანალიზდეს ბენეფიციარის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები. მსესხებლის შესაძლებლობა დადგენილ ვადებში მოემსახუროს სესხს უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმს სესხის გაცემის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ შემუშავებული პრინციპების მიხედვით (პრინციპი 12), დონორი ორგანიზაციის მიერ პროექტის წინასწარი შესწავლა, არ ათავისუფლებს მთავრობას მის მიერ დამოუკიდებელი შეფასების ჩატარებისაგან. დაკრედიტებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი საკრედიტო პორტფელის მართვის პროცესში. იმისათვის, რომ კრედიტორმა მოახდინოს რისკების შეფასება და შესაბამისი საკრედიტო პირობების განსაზღვრა, აუცილებელია, რომ შეფასდეს, როგორც მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, ასევე, საინვესტიციო პროექტის საჭიროება, განხორციელებადობა და პროექტიდან მისაღები მოსალოდნელი სარგებელი. აღნიშნულის გაანალიზების შედეგად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება სესხის გაცემის თაობაზე. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, რისკი უნდა იქნეს შეფასებული და შესაბამისად გათვალისწინებული საკრედიტო პირობების განსაზღვრის პროცესში, რაც შეიძლება გამოიხატოს სესხის საპროცენტო განაკვეთზე გარკვეული მარჟის (mark-up fee) დაწესებით. რისკების შეფასებისათვის აუცილებელია არსებობდეს ცხადი და გამჭვირვალე პოლიტიკა სესხების მართვის კუთხით. კრედიტორის მიერ სესხის მიმღების ფინანსური მდგომარეობის შეფასება ამცირებს სესხის გაცემით მიღებული დანაკარგების რისკს და ხელს უწყობს საკრედიტო პორტფელის ეფექტიან მართვას.

გადასესხების მარეგულირებელი ზოგადი წესები და პროცედურები მოცემულია კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ და აგრეთვე, დონორთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. არსებული მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტის განმახორციელებელთა შერჩევა ძირითადად მიმდინარეობს კრედიტორი ორგანიზაციების მიერ. კერძოდ, საკრედიტო რესურსთან ერთად დონორი ორგანიზაციები საინვესტიციო პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფენ სხვადასხვა ტიპის გრანტებს. აღნიშნული გრანტებით ძირითადად ფინანსდება პროექტის განხორციელებადობის ანალიზის (Feasibility study) ჩატარება. ამავე ეტაპზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ხორციელდება საკრედიტო რესურსის საბოლოო ბენეფიციარის იდენტიფიცირება. შედეგად, მსესხებლის შერჩევის პროცესში და მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზში, რაც მნიშვნელოვანია კომპანიის გადახდისუნარიანობის დასადგენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს როლი მინიმალურია და ძირითადად ხორციელდება დონორი ორგანიზაციის მიერ. გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე მდგომარეობით საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხებით ფინანსდება ისეთი სფეროები, სადაც ფაქტიურად პროექტების განხორციელების მხრივ „მონოპოლიური“ მდგომარეობაა და მხოლოდ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები ოპერირებენ.

გადასესხების ფინანსური პირობების დადგენისას არ ხდება საკრედიტო რისკების შეფასება. გარკვეულ შემთხვევებში დონორი ორგანიზაციისათვის ცნობილია გადასესხების შემთხვევაში მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებული მაღალის რისკის არსებობის შესახებ. აღნიშნული რისკის პრევენციისათვის და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დონორის მიერ გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა მიზანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი მომგებიან კომპანიად ტრანსფორმირება. მიუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევაში მთავრობის მიერ ვერ ხერხდება მოცემული რეკომენდაციების შესრულება. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს იმ რეკომენდაციების შესრულება, რომელიც გულისხმობს ტარიფების დადგენის პოლიტიკის გადახედვასა და მათ მოდიფიკაციას.

2010-2015 წლებში, საგარეო საკრედიტო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები გადასესხდა ისეთ კომპანიებზეც, რომლებიც იმყოფებიან რეაბილიტაციის რეჟიმში ან არიან სამართალმემკვიდრეები ისეთი კომპანიებისა, რომელთაც მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდათ სესხის მომსახურებასთან დაკავშირებით. მაგალითად, 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე) რეაბილიტაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც „სსე“ რეაბილიტაციის რეჟიმში იმყოფება 2023 წლის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ რთული ფინანსური მდგომარეობის შედეგად მიმდინარეობს საწარმოს ფინანსური რეაბილიტაცია, 2013-2014 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა „სსე“-სთან 3 ახალი ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ფარგლებშიც საწარმოს გამოეყო 60.21 მლნ ევროს, 60.0 მლნ აშშ დოლარისა და 29.69 მლნ SDR-ის მოცულობის საკრედიტო რესურსი. თუმცა, გადასესხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არსებული კრედიტორული დავალიანებების გათვალისწინებით, არ განხორციელებულა კომპანიის გადახდისუნარიანობის შეფასება. აგრეთვე, 2010 წლიდან, კომპანიის გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე, თანხების გადასესხება ხორციელდება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“, რომელიც წარმოადგენს რთულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი

რამდენიმე კომპანიის სამართალმემკვიდრეს, რომელთაც კრედიტორული დავალიანება გააჩნდათ სახელმწიფოს წინაშე.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ხშირად არ გამოიყენება საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრების საფინანსო დაწესებულებების მეშვეობით განაწილების მეთოდი. აღნიშნული მიდგომით დაფინანსდა სოფლის განვითარების პროექტი, რომლისთვისაც საქართველოს მთავრობას ფინანსური რესურსი გამოუყო სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა (IFAD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ (IDA). საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრები საბოლოო ბენეფიციარებს გაუნაწილდათ მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების (კომერციული ბანკები და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები) მეშვეობით. პროექტის ფარგლებში მსესხებელთა შერჩევის მიზნით ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცეს ერთობლივი ბრძანება⁸, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გაწერილია კომერციული ბანკებისა და არასაბანკო საფინანსო დაწესებულებების შერჩევის კრიტერიუმები. მოცემული მეთოდით განხორციელებული გადასესხების პროცედურა შესაბამისობაში იყო საქართველოს კანონთან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ და შეიძლება ითქვას, რომ მოცემული სახით გადასესხება წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ არ არის შემუშავებული სახელმძღვანელო, რომელშიც გაწერილი იქნებოდა გადასესხების მთლიანი პროცესი, პროცესში ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობების მითითებით. გარდა ამისა, არ არის გაწერილი მსესხებელთა შერჩევის კრიტერიუმები. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს საბოლოო ბენეფიციარის (მსესხებლის) შერჩევის წესი/პროცედურა გაურკვეველია თუ რა პრინციპით მოხდება საბოლოო მსესხებლის შერჩევა ისეთ სფეროებში, სადაც პროექტის განხორციელების შესაძლებლობა აქვს არა მხოლოდ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიებს, არამედ სხვა სახელმწიფო თუ კერძო საწარმოებს.

ამასთანავე, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე სესხების გაცემისას ფინანსთა სამინისტროს მიერ არ ხორციელდება მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზი (დადოკუმენტირებული), რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა გადახდისუნარო მსესხებელთა იდენტიფიცირება და მსესხებელთა ფინანსური მდგრადობის შეფასება. ბოლო 5 წლის განმავლობაში, გადასესხებულის სესხების შემთხვევაში, არ განხორციელებულა სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების დამოუკიდებელი შეფასება. სახელმძღვანელოების, წინასწარ გაწერილი პროცედურებისა და საკრედიტო რისკების შეფასების ინსტრუქციების არ არსებობა საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების არაეფექტიანი მართვის რისკს წარმოშობს.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად წინასწარ ცნობილი სირთულეებისა, რაც შეიძლება მოჰყვეს სესხის გაცემას, საქართველოს მთავრობა მაინც იღებს გადაწყვეტილებას გადასესხოს მოზიდული სახსრები. შედეგად, გაურკვეველია თუ რის საფუძველზე მიიღება აღნიშნული გადაწყვეტილება მაშინ როდესაც, კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები ვერ უზრუნველყოფენ სესხის დაბრუნებას. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და გაანალიზება არ ხორციელდება მაშინაც კი, როდესაც მსესხებელი გაუარესებული ფინანსური მდგომარეობის მოტივით ითხოვს მიმდინარე გადასახდელების (ძირითადი თანხა, პროცენტი) გადავადებას. შედეგად, ფინანსთა სამინისტროს

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 ივნისის N992 და 10 დეკემბრის N2231 განკარგულებები „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ შპს „ენერგოტრანსის“ ფინანსური ვალდებულებების შესახებ“.

მხრიდან ვერ ხორციელდება შესაბამისი არგუმენტირებული რწმუნების მიღება მსესხებლის არსებულ ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით და ასევე, თუ რამდენად შეძლებს მსესხებელი შეცვლილი გადახდის პირობებით სესხის უპრობლემოდ მომსახურებას. მაგალითად, 2014 წელს შპს „ენერგოტრანსი“-ს მიმართვის საფუძველზე განხორციელდა 2014 წლის ივნისისათვის გადასახდელი თანხების გადავადება თავდაპირველად 2014 წლის დეკემბრისათვის, ხოლო შემდგომ უკვე, 2014 წლის დეკემბრის გეგმურ გადასახდელთან ერთად 2015 წლის ბოლოსათვის⁹. მიუხედავად იმისა, რომ გადავადებული თანხების მოცულობამ 13.7 მლნ ევრო შეადგინა, ფინანსთა სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასება, რაც საშუალებას მისცემდა ფინანსთა სამინისტროს დაედგინა სესხებლის ფინანსური სირთულეები და ამასთანავე, შეეფასებინა 2015 წლის გეგმურ გადასახდელებთან ერთად გადავადებული თანხების გადახდის შესაძლებლობაც. აღნიშნული ქმედება ხელს შეუწყობდა ფინანსთა სამინისტროს მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას და ბიუჯეტში სესხებიდან მისაღები ფინანსური სახსრების ეფექტურად დაგეგმვას.

2014 წელს გადასესხებული სესხებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში იგეგმებოდა 90.8 მლნ ლარის მობილიზება. აღნიშნული სესხებიდან მიღებულმა ფაქტიურმა ბიუჯეტის შემოსულობამ 73.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების (ჯარიმების დარიცხვის) აცილების მიზნით ფინანსთა სამინისტროს მიერ ქვესასესხო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ცვლილება მიმდინარე გადასახდელი თანხების გადავადებასთან დაკავშირებით, რამაც უარყოფითად იმოქმედა საბიუჯეტო წელს სესხებიდან მისაღები დაგეგმილი თანხების მობილიზაციაზე.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, დეტალურად გაწერილი სესხის გაცემის პოლიტიკის, რისკების შეფასების მეთოდოლოგიისა და შესაბამისი პროცედურების აღმწერი დოკუმენტის არსებობა, ხელს შეუწყობს ფინანსთა სამინისტროს:

1. უზრუნველყოს სესხის გაცემის უმაღლესი სტანდარტების დანერგვა;
2. მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს საკრედიტო რისკს;
3. დროულად მოახდინოს პრობლემური სესხების იდენტიფიცირება და მათი ეფექტური მართვა.⁹

ამასთანავე, აღნიშნული დოკუმენტების არსებობა უზრუნველყოფს ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებასა და მოცემული მიმართულებით საქმიანობის გამჭვირვალობას. იგი ხელს შეუწყობს ფინანსთა სამინისტროს განახორციელოს სახელმწიფო ვალისა და მასთან დაკავშირებული აქტივობების ეფექტური მართვა.

დასკვნა:

ფინანსთა სამინისტროს მიერ არ არის უზრუნველყოფილი მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის შესწავლა და მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული კი „სახელმწიფო ვალის შესახებ“

⁹ მაღალიის ცენტრალური ბანკი, (2009): საკრედიტო რისკი მართვის საუკეთესო პრაქტიკების სახელმძღვანელო განვითარებადი ფინანსური ინსტიტუტებისათვის, გვ. 14.

კანონის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს. პროექტის შეფასება და მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა ძირითადად ხორციელდება დონორი ორგანიზაციის მიერ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ აქვს შემუშავებული გადასესხების პოლიტიკა, სადაც მსესხებელთა შერჩევის ზოგად კრიტერიუმებთან ერთად მოცემული იქნებოდა, აგრეთვე, გადასესხების პროცესში ჩართული უწყებების ფუნქცია-მოვალეობები.

ფინანსური სირთულეების მქონე მსესხებელთათვის მიმდინარე გადასახდელის გადავადებისა თუ ახალი ფინანსური რესურსის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის გარეშე. გადახდისუუნარო ან ფინანსურ სირთულეებში მყოფი კომპანიების დაკრედიტება ზრდის რისკს, რომ გაცემული სესხის დაბრუნება ვერ იქნება უზრუნველყოფილი, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტზე. შედეგად, საინვესტიციო პროექტის განხორციელების მხარდაჭერისათვის ფინანსური რესურსის გადასესხება მსგავს კომპანიებზე ვერ ჩაითვლება ოპტიმალურ გადაწყვეტილებად. შესაბამისად, აუცილებელია შემუშავდეს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება თუ რა მეთოდით განხორციელდება სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო პროექტის განხორციელების ფინანსური მხარდაჭერა, იქნება ეს სახელმწიფო გარანტიის გაცემა, მოზიდული სახსრების გადასესხება თუ მიღებული რესურსის გრანტის სახით პირდაპირ განმახორციელებელზე გადაცემა.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გადასესხებული თანხები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფინანსურ აქტივს, მსესხებელთა შერჩევის ეფექტური მექანიზმების არსებობა ხელს შეუწყობდა სახელმწიფოს ფინანსური აქტივების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გამოიხატებოდა გადახდისუნარიანი ეკონომიკური აგენტების დაკრედიტებით.

რეკომენდაცია:

საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გადასესხებული სესხების მართვის პროცესში საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის დასაწერად და მსესხებელთა მხრიდან ნასესხები სახსრების სტაბილურად და დროულად დაბრუნების წინაპირობების შესაქმნელად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია:

- ❖ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს გადასესხების პოლიტიკა, სადაც ნათლად იქნება გაწერილი მსესხებელთა შერჩევის ზოგადი კრიტერიუმები, პროცესში მონაწილე უწყებების ფუნქცია-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ხელს შეუწყობს მოცემული მიმართულების საბიუჯეტო სახსრების სწორ დაგეგმვასა და საგარეო წყაროებიდან მოზიდული სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების ეფექტიან მართვას;
- ❖ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მეთოდოლოგია, განახორციელოს რისკების შეფასება და მოცემული შეფასების ანალიზის შედეგად განსაზღვროს დაფინანსების ფორმა (სესხი, გრანტი, გარანტია და სხვა) და პირობები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაფინანსებასთან დაკავშირებული ყველა რისკი.

3. საკრედიტო პორტფელის მონიტორინგი და სესხების დაფარვა

სასესხო პორტფელის ეფექტური მართვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორის მიერ განხორციელებულ პერიოდულ მონიტორინგს. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ ითვალისწინებს ფინანსთა სამინისტროს მიერ საგარეო საკრედიტო რესურსებით მოსარგებლე ეკონომიკური აგენტების პერიოდულ მონიტორინგს. კერძოდ, ეკონომიკური აგენტები ვალდებული არიან ყოველკვარტალურად ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ანგარიშები სახსრების ხარჯვისა და სესხის დაბრუნების შესახებ. პრაქტიკაში, საგარეო საკრედიტო რესურსებით მოსარგებლე უწყებები ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ანგარიშებს, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაფინანსებული პროექტის განხორციელებისა და გამოყოფილი ფინანსური სახსრების ხარჯვის შესახებ. აღნიშნულ ანგარიშებში, არ არის მოცემული მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია, რაც ფინანსთა სამინისტროს პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას მისცემდა. შედეგად, უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო მოთხოვნა ნაწილობრივ სრულდება.

სახელმწიფოს მიერ ნასესხები ფინანსური სახსრების გადასესხების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო პროექტის დაფინანსება შეღავათიანი ფინანსური რესურსით, რომელიც არ გაზრდის საბიუჯეტო წნეხს მოცემული სესხის მომსახურების თვალსაზრისით. მსესხებლის მიერ თანხის დაბრუნების პირობები, როგორც წესი ემთხვევა¹⁰ ძირითად ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ სესხის გადახდის პირობებს. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელი ვერ ახერხებს ქვესასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სესხების მართვაზე პასუხისმგებელმა უწყებამ უნდა მიიღოს ყველა ზომა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, ქვესასესხო ხელშეკრულების პირობებთან და ადგილობრივ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.¹¹

სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე მიუთითებს ქვესასესხო ხელშეკრულებებში განხორციელებული ხშირი ცვლილებები. სახელმწიფო სექტორის ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელოს მიხედვით, სესხის რეორგანიზაცია (რესტრუქტურიაზაცია) ძირითადად მიმართულია კრედიტის მომსახურების პირობების შემსუბუქებისაკენ. აღნიშნულის აუცილებლობა კი შეიძლება გამოწვეული იყოს მსესხებლის მოკლევადიანი ფინანსური სირთულეებით, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სესხის მომსახურების მომენტში ლიკვიდობის პრობლემის არსებობით. ამასთანავე, რეორგანიზაციის აუცილებლობა შეიძლება გამოიწვიოს მსესხებლის უუნარობამ მოემსახუროს სესხს საშუალოვადიანი პერიოდისათვის (გადახდისუნარიანობის პრობლემა). გამომდინარე აქედან, იმის დასადგენად თუ რა სახის ფინანსურ სირთულეებთანაა (მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი) დაკავშირებული მსესხებლის მდგომარეობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მსესხებლის პერიოდული მონიტორინგისა და რისკების შეფასების აუცილებლობას.

მსესხებელთა პერიოდული მონიტორინგი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას სესხის დაბრუნებასთან

¹⁰ სულ მცირე ქვესასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის ვადა არ უნდა იყოს იმაზე მეტი ვიდრე ძირითადი ხელშეკრულებითაა განსაზღვრული.

¹¹ გაეროს ტრენინგებისა და კვლევის ინსტიტუტი (UNITAR), (2002): „სახელმწიფო სექტორის მიერ სესხის აღების ინსტიტუციური მოწყობა“, N17, გვ. 17.

დაკავშირებული პრობლემების დროული იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის. ეფექტიანი მონიტორინგის მეშვეობით ფინანსთა სამინისტროს საშუალება ექნება:

1. მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
2. კონტროლი გაუწიოს ფინანსური რესურსების ხარჯვას;
3. მოახდინოს პოტენციური პრობლემების დროული იდენტიფიცირება და მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად.¹²

დასკვნა:

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის მიხედვით ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს საგარეო საკრედიტო რესურსებით მოსარგებლე ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებული არიან ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ კვარტალური ანგარიშების პროექტის ფარგლებში სახსრების ხარჯვასთან დასესხის დაბრუნებადობასთან დაკავშირებით. არსებული პრაქტიკით, ფინანსთა სამინისტროს არ აქვს ინფორმაცია მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნა მსესხებელთა მხრიდან ნაწილობრივ სრულდება. გარდა ამისა, იზრდება რისკი იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ ვერ მოხდება მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კუთხით სირთულეების დროული აღმოჩენა და მათ დასაძლევად შესაბამისი ეფექტური ზომების მიღება.

რეკომენდაცია:

სესხების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვის მიზნით, რომელიც საშუალებას მისცემს ფინანსთა სამინისტროს დროულად მოახდინოს პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირება და ასევე, დროულად მიიღოს ზომები მათ გადასაჭრელად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია:

- ❖ საგარეო საკრედიტო რესურსებით მოსარგებლე ეკონომიკური აგენტებისაგან კვარტალური ანგარიშების ფარგლებში გამოთხოვილ იქნეს მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი უწყების მიერ გაანალიზდება და პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში ეცნობება მენეჯმენტს შესაბამისი ზომების გატარების მიზნით.

¹² მაღაიზიის ცენტრალური ბანკი, (2009): „საკრედიტო რისკი მართვის საუკეთესო პრაქტიკების სახელმძღვანელო განვითარებადი ფინანსური ინსტიტუტებისათვის“, გვ. 14.

4. გადასესხებული სესხების აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არსებული ხარვეზები

ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარლამენტთან, პრეზიდენტთან, საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშვალდებულების არსებობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული „ფისკალური გამჭვირვალობის კარგი პრაქტიკების კოდექსის“ მიხედვით საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს მთავრობის ფისკალური საქმიანობისა და მთავარი ფისკალური რისკების შესახებ, რაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოიცავს ფინანსური აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაციის (მსესხებლის დასახელება, გაცემული თანხის მოცულობა, ნაშთი და სხვა) გამოქვეყნებას.

ფინანსთა სამინისტროში, სახელმწიფო ვალის სამმართველოა პასუხისმგებელი საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების აღრიცხვაზე.¹³ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სესხი რეგისტრირდება გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ განვითარებულ პროგრამაში DMFAS, რომელსაც აქტიურად იყენებს მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, როგორც სახელმწიფო ვალის, ასევე გადასესხებული სესხების აღრიცხვისა და მართვისათვის. საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების აღრიცხვა აგრეთვე ხორციელდება სახელმწიფო სესხების ერთიან რეესტრში, რომელსაც ამზადებს სახაზინო სამსახური. სახელმწიფო სესხების ერთიანი რეესტრი წარმოადგენს MS Excel-ის პლატფორმაზე არსებულ მონაცემთა ბაზას, სადაც დანართი 2 ეთმობა გადასესხებული სესხების აღრიცხვას. აღსანიშნავია, რომ სახაზინო სამსახურისათვის აღნიშნული სესხების შესახებ ინფორმაციის პირველად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი, რომელიც შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო ხაზინას.

აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო კოდექსის 59-ე მუხლის გათვალისწინებით, სესხების ერთიან რეესტრში აღრიცხვას არ ექვემდებარება უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გასაცემი სესხები, თუმცა ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის N305 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული სესხების ერთიანი რეესტრი მოიცავს ინფორმაციას საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემულ სესხებზეც. შედეგად, არსებული მდგომარეობით, გადასესხებული სესხების აღრიცხვა ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს ორი სტრუქტურული ერთეულის მიერ სხვადასხვა მონაცემთა ბაზებში.

DMFAS-იდან და სახელმწიფო სესხების ერთიანი რეესტრიდან გადასესხებულ სესხებზე არსებული მონაცემების დადარების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ნაკლოვანებები:

- ❖ სახელმწიფო სესხების ერთიანი რეესტრის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით შეუძლებელია დადგინდეს გაცემული სესხების მიმდინარე ნაშთი, ვინაიდან რეესტრი მოიცავს მხოლოდ მსესხებლის მიერ გადახდილი თანხების (ძირითადი თანხა, პროცენტი და ჯარიმა) ჯამურ მაჩვენებელს;

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.10.2008 ბრძანება N824.

❖ DMFAS-ის მონაცემთა ბაზაში აღრიცხული არ არის 2 მიმდინარე და 7 „უიმედო“ სესხი, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ნაწილობრივ მოცემულია სახელმწიფო სესხების ერთიან რეესტრში. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ „უიმედო“ სესხებთან დაკავშირებული საქმეები გადაგზავნილია სასამართლოში, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული მათი DMFAS-ის სისტემაში აღრიცხვა;

❖ მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს 2 სტრუქტურული ერთეული ახორციელებს საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების შესაბამის სისტემებში აღრიცხვას, მოცემული ბაზები მაინც არ არის სრულყოფილი. მაგალითად, 2010 წელს საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდიდან (IFAD) ისესხა თანხა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადასესხდა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებზე. აღნიშნული სესხების შესახებ ინფორმაცია არაა მოცემული არც DMFAS-ში და არც სახელმწიფო სესხების ერთიან რეესტრში.

გარდა გადასესხებული სესხების აღრიცხვაში ზემოთ ნახსენები ხარვეზებისა საყურადღებოა, რომ სახელმწიფო სესხების რეესტრში არ არის სრულყოფილად აღრიცხული ის სესხები, რომლებზეც სხვადასხვა დროს განხორციელდა რეორგანიზაცია, კერძოდ გადასახდელი დავალიანების ძირითად თანხაში კაპიტალიზაცია ან მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა მიმდინარე გადასახდელების გადავადება. აღნიშნული რეორგანიზებული სესხები DMFAS-ის სისტემაშიც არაერთგვაროვნადაა აღრიცხული. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში გადასახდელი დავალიანების მოცულობები კაპიტალიზირებულია ძირითად თანხაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კი, ხდება მათი ცალკე სესხად აღრიცხვა.

სესხის რეფინანსირება ან გადავადება სესხის რეორგანიზაციის ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს. იგი მოიცავს თავდაპირველ სასესხო ხელშეკრულებაში პირობების შეცვლას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მსესხებლისათვის სესხის მომსახურების ტვირთის შემსუბუქება. 2014 წლის ბოლოს არსებული გადასესხებული სესხების პორტფელის მონაცემებზე დაყრდნობით, სესხის რეფინანსირებას ან გადავადებას 9 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) მიხედვით, ვადაგადაცილებულ თანხაზე განხორციელებული რეორგანიზაცია უნდა აღირიცხოს, როგორც რეორგანიზებული თანხის მოცულობით სესხზე მიმდინარე გადასახდელების შემცირება და ამავე ოდენობის მოცულობით ახალი სესხის სახით მსესხებლის ვალდებულებების ზრდა. სესხის აღრიცხვის მოცემული მიდგომის გათვალისწინებით არაა აღრიცხული რამდენიმე სესხზე განხორციელებული რეორგანიზაცია, რომელთა შემთხვევაშიც რეორგანიზებული თანხები კაპიტალიზირებულია სესხის ძირითად თანხაში.

რეორგანიზებული სესხების აღრიცხვის ზემოაღნიშნული მიდგომა გარკვეული ნაკლოვანებითაა განხორციელებული „ელექტროგადამცემი ქსელების რეაბილიტაციის II პროექტის“ ფარგლებში გამოყოფილ სესხზე. აღნიშნულ სესხზე რესტრუქტურისაციის განხორციელება განაპირობა

¹⁴ საერთაშორისო სავალუტო ფონდი, (2001): „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო“, გვ. 162

„საქართველოს სახელმწიფო ელექტრონის სისტემაში“ (მსესხებელი) არსებულ მაფინანსურ მაპრობლემებმა, რის შედეგადაც დამტკიცდა კომპანიის რეაბილიტაციის გეგმა. აღნიშნული სესხის ფარგლებში, რესტრუქტურირება შეეხო რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების მომენტში არსებულ საკრედიტო დავალიანებას, რომელიც შეადგენდა 1,207,782.41 ევროს (ძირითადი თანხა 751,941.18 ევრო, პროცენტი - 394,094.44 ევრო, ჯარიმა - 61,746.79 ევრო). რესტრუქტურირების მომენტში არსებული მიმდინარე დავალიანება (1,207,782.41 ევრო) აისახა, როგორც ახალი სესხი („ელექტროგადამცემი ქსელების რეაბილიტაციის II პროექტის რესტრუქტურირებული კრედიტი“), თუმცა ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის მოცულობით (751,941.18 ევრო) არ იქნა დაკორექტირებული მიმდინარე სესხზე დაფარული ძირითადი ვალის გადახდილი ნაწილი, რის შედეგადაც სხვაობა სესხის ფარგლებში ათვისებულ თანხასა და გადახდილ ძირითად თანხას შორის განსხვავებულია გადასესხებული სესხების პორტფელში წარმოდგენილი სესხის ნაშთისაგან.

	ათვისებული თანხა	ძირითადი ვალის გადახდილი ნაწილი	სესხის ნაშთი გადასესხებული სესხების პორტფელის მიხედვით	სხვაობა სესხის ათვისებულ თანხასა და ძირითადი ვალის გადახდილ ნაწილს შორის (1) - (2) (4)	განსხვავება (4) - (3)
	(1)	(2)	(3)	(4)	
ელექტროგადამცემი ქსელების რეაბილიტაციის II პროექტი	12,782,297	6,767,471	5,262,885	6,014,826	751,941
ელექტროგადამცემი ქსელების რეაბილიტაციის II პროექტის რესტრუქტურირებული კრედიტი	1,207,782	139,025	1,068,758	1,068,758	0

ცხრილი 1

ისევე როგორც სახელმწიფო ვალის მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეყრდნობოდეს სრულყოფილ და განახლებულ მონაცემებს საკრედიტო პორტფელის შესახებ, ანალოგიურად მნიშვნელოვანია, რომ საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის პროცესში გამოყენებულ იქნეს განახლებული და სრულყოფილი მონაცემთა ბაზა. გაცემული სესხების შესახებ სრულყოფილი და განახლებული ინფორმაცია ზრდის ჩატარებული ანალიზების ნდობის ხარისხს, რაც ხელს უწყობს მენეჯმენტს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

დასკვნა:

საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხების პორტფელის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის გამოქვეყნებული. ფინანსთა სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხების აღრიცხვის ერთიანი, უნიფიცირებული მიდგომა. შედეგად, სახელმწიფო სესხების ერთიანი რეესტრის მონაცემები და DMFAS-იდან მიღებული ამონაწერი პორტფელის მდგომარეობის შესახებ არ არის შესადარისი და რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს განსხვავებული ინფორმაციის ასახვას.

გადასესხებული სესხების აღრიცხვის არაერთგვაროვანი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით სრულყოფილი სურათის წარმოჩენას. გარდა ამისა, აღრიცხვა-ანგარიშების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას.

რეკომენდაცია:

აღრიცხვა-ანგარიშებაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია:

❖ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მონაცემთა ბაზის განახლება და სრულყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ სესხების ერთიანი რეესტრი გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება (მაგ., შეუძლებელია სესხის ნაშთის დადგენა) და იმის გათვალისწინებით, რომ DMFAS-ში სესხების აღწერა უკეთ აკმაყოფილებს აღრიცხვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მიზანშეწონილია სესხების ერთიან რეესტრში საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების აღწერის შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს DMFAS-ში გენერირებული მონაცემები შესაბამისი ფორმატით;

❖ სესხების რეორგანიზაციის შემთხვევაში განხორციელდეს მისი აღრიცხვა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კერძოდ, რეორგანიზებული სესხის ნაწილი დარეგისტრირდეს, როგორც ახალი სესხი.

ქ. თბილისი. ქ.წამახულის გარე.96

www.sao.ge